ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის ანგარიში 2016-17 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით შესრულებული იქნა შემდეგი აქტივობები, ამ აქტივობები:

დასრულებული იქნა კოლეჯის შენობის სარემონტო სამუშაოები, კოლეჯის ინვენტარით კომპიუტერებით აღჭურვა განხორციელდა სრულად, ხოლო 3 საავტორიზაციო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოხდა სახელოსნოების მოწყობა.

კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სტანდარტის მიხედვით განხორციელებულია; კოლეჯში უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის სამედიცინო პუნქტის მოწყობა.

განხორციელდა საშტატო განრიგის შექმნა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაწერა. შეირჩა ადმინისტრაციული ადამიანური რესურსი. გაიწერა და დამტკიცდა კოლეჯის დებულებები, ინსტრუქციები და ფორმები, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების რეგისტრაციისა და გაცემის პროცედურა.

მომზადდა პროგრამების დამატების მიზნით 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შეიქმნა მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით საბიბლიოთეკო რესურსი, რომლის შევსება და განახლება უნდა გაგრძელდეს მომდევნო წელსაც.

გაფორმებული იქნა პრაქტიკის ხელშეკრულებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

განისაზღვრა სასწავლო (სახარჯი) მასალებისა და აღჭურვილობის სია და რაოდენობა

შეირჩა და გადამზადდა აკადემიური ადამიანური რესურსი 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

დასრულდა კოლეჯის ვებგვერდის მომზადება და ეტაპობრივად მიმდინარეობს მასზე მასალის განთავსება.

შექმნილია 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი, რომელიც განთავსდება კოლეჯის ვებგვერდზე პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ.

შეფასდა 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

მიმდინარე წელს არ განხორციელებულა სკოლებში კოლეჯის საქმიანობის რეკლამირება და ღია კარი, რომელიც მოეწყობა 2018 წლის საგაზაფხულო მიღებისთვის.

კოლეჯის დირექტორი დ. საზანდრიშვილი